572/1952/2

ლილა

„აუკეთებ, ტურფა ქალიანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწბილდეს
საძმობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო უურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 9 სექტემბერი 1952

საქ. სსრ. სახ. საბ. საბჭოთა ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

სკოლისაკენ

დღედაღამ ამას ვნატრობდი,—
ჩქარა გაძიღეთ კარები,
მეც მოწაფე ვარ; სკოლისკენ
პირველად მივეჩქარები.

შენ სად მოდიხარ, მურიავ!
როდემდის გტუქსო, როდემდის?
ის დრო წავიდა, გეთაევა,
ეველგან რომ უკან მომდევდი.

სექტემბრის დილა გათენდა,
ბალღებს უხმობენ სკოლები;
მერხებთან ჩარიგებულნი
მელიან ჩემი ტოლები.

ზოგი რამ ცოდნაც მიმეცემა, —
ჩემი დედიკოს წუალობა:
თვლაც კარგად ვიცი, ანბანიც,
ცოტა ხატვაც და გალობაც.

ხელს არ ვითხუპნი მელნითა,
თავს მირჩევნია წიგნები;
სკოლისკენ მიმეჩქარება...
სულ ხუთოსანი ვიქნები.

ა. მუსაგოვი ნახატები შ. ცხადაძისა

საერთო საჩუქარი

გათენებისას დალიმ გელასთან მიირბინა; შეჰყო ქერა თავი ფანჯარაში და დაიძახა:

— აბა, რა მაქვს, ჩქარა გამოიცანი!

— ახალი ლენტი გექნება!

— არა...

— ფერადი შუშები!

— კიდევ ვერ გამოიცანი!

— მძივები!

დალიმ სიცილით შეირბინა სახლში ა უბიდან დამალული პენალი ამოიღო. ენალს ჩუქურთმიანი თავსახური ჰქონ-ა, შიგ კი მთელი „სიმდიდრე“ ელაგა: ექვსი ფერადი ფანქარი, წყვილი კალ-მისტარი და თორმეტი კალამი.

— სახლში, ამის გარდა, ორი სამელ-ნე მაქვს, კიდევ — ზურგჩანთა პატარა ბოქლომით. ყველაფერი მამამ მიყიდა სკოლისათვის, სასოფლო მაღაზიაში.

გელამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ ოთახში ჩასუქებულმა დიტომ შე-მოირბინა და ახალი ამბავი მოიტანა: მეოთხე კლასი სკოლისათვის საჩუქრებს ამზადებსო.

— რა საჩუქრებია?—ვერ მიხვდა გელა.

— რა საჩუქრებია და... საჩუქრები! ისეთი, რომ ხელცარიელი არ მოუხდეთ სკოლაში მისვლა. ზოგი წიგნების თა-როს აკეთებს, ზოგი—ფიტულს, ზოგი კიდევ რას...

— ბავშვებო, მოდით და ჩვენც ხელ-დამშვენებული მივიდეთ სკოლაში!— თქვა დალიმ.

— ჰო! ჰო!—კვერი დაჰკრა დიტომ.— მეოთხე კლასმა რატომ უნდა გვაჯო-ბოს! მე ვიცი, სადაც იმალება გველხო-კერა. იმის დაჭერა შეიძლება.

— კიდევ ყვავილებისა და ფოთლე-ბის გახმობაა საჭირო, პეპლებიც უნდა დავიჭიროთ!—დაუმატა დალიმ.

— კარგი, მაგრამ საჩუქრები ვისლა მივუტანოთ?—შეაწუვეტინა ბავშვებს გე-ლამ.—ჩვენი მასწავლებელი პატივცემუ-ლი მარიამი უკვე პენსიონერია და შვილ-თან გადასახლდა ქალაქში.

— ახალი მასწავლებელი გვეყოლება... იმას მივართვათ საჩუქრები!—განაცხადა დალიმ და ბავშვებიც დაეთანხმნენ.

მეორე დილით მესამეკლასელები სა-ჩუქრების საშოვნელად გაეშურნენ. შე-მოიარეს სათიბი და მდინარის ნაპირები, ბევრი იარეს ტყე-ტყე; მოაგროვეს ათას-გვარი ქვები, მოკრიფეს ყვავილები და ფოთლები, დაიჭირეს პეპლები და ხო-ჭოები.

ოღონდ გველხოკერას დაჭერის იმედი გაუცრუვდათ. ბევრი ურია დიტომ თა-ვისი ხელბადე მდინარის ჯილეში, მაგ-რამ ბაყაყის მეტი არაფერი ამოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენც ამბობდი რაღა, გველხოკერას დავიჭერთო,—ჯავრობდა გელა.

— ალბათ სხვაგან გადაინაცვლა, ზემოთ შეჰყვებოდა მდინარეს, წავიდეთ, ბავშვებო, უსათუოდ დავიჭერთ!—ეხვეწებოდა დიტო.

დალის შეებრალა ბიჭი, დათანხმდა და მდინარეს აღმა შეჰყვნენ. გელაც უხალისოდ აედევნა: სცადეს ბედი მეორე ჯილეში, მერე—მესამეში, მეოთხეშიც. არსად იყო გველხოკერა.

უგუნებოდ ბრუნდებოდნენ შინისაკენ. უცებ დიტომ შესძახა:

— შეხედეთ, თრითინა გარბის!

მართლაც, რაღაცას დაეფრთხო წითური თრითინა, მინდორი ირიბად გადმოეჭრა და გზისაკენ მიჰქროდა ფაცხაფაცხით.

ჩასუქებული დიტო მჭადის კოკორივით შეგორდა ბალახებში თრითინას დასახვედრად. გზადაგზა მოიძრო ბეჭებზე წამოხურული პიჯაკი. თრითინა ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, ბიჭი ვერ შენიშნა და პირდაპირ მისკენ მოჰქროდა. როცა ორიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა, დიტომ გაშალა თავისი პიჯაკი და ზედ დააცხრა. რაღაცამ, ზამბარასავით მოქნილმა, ღონივრად გაჰკრა ქვემოდან პიჯაკის სარჩულს.

— აჰა, გაები?!—შესძახა გახარებულმა ბიჭმა და პიჯაკქვეშ მოქცეულ ძვირფას ნადავლს ზედ გადაეფოფრა.—ბავშვებო, ჩემსკენ! არის ნანადირევი!

გელამ და დალიმ ის იყო მიშველება დააპირეს, რომ დაინახეს კიდეც: თრითინა, ვითომც აქ არაფერიაო, ისევ გარბოდა მინდორში.

— ეჰ, დოყლაპიავ! გაგექცა!—შესძახა გელამ წყენით და თრითინას გამოუდგა. დიტო დარცხვენილი წამოდგა და ხელახლა დაედევნა. ერთი მხრიდან დიტო მიჰყიჟინებდა თრითინას, მეორე მხრიდან გელა და დალი უტევდნენ.

თრითინა აწრიალდა, აქეთ-იქით მიაწყდა; ბავშვები ზედ ეცემოდნენ, ცდილობდნენ პიჯაკქვეშ ან ხელბადეში მოექციათ, მაგრამ ის ყოველთვის მარჯვედ უსხლტებოდათ.

ამრიგად, წავიდოდა კიდეც თრითინა თავისი გზით,—ხოლო შემდეგ, თავის მყუდრო ფულურაში, პაწია თრითინებთან არაერთხელ დაიტრაბახებდა, თუ რა მარჯვედ გააცურა მდევრები; მაგრამ ნადირობაში ერთი ადამიანი ჩაერია. ეს იყო საშუალო ტანის, ქერანაწნავებიანი ქალიშვილი, ასე, ოცდახუთი წლისა; მარჯვენა მხარზე საზაფხულო წამოსასხამი ჰქონდა გადაკიდებული, მარცხენა ხელში კი მინდვრის ყვავილების დიდი თაიგული ეჭირა.

ქალიშვილი კარგახანია თვალყურს ადევნებდა თრითინას დევნით გატაცებულ ბავშვებს, ბუჩქთან იდგა და იღიმებოდა.

თითქოს-და რა ესაქმებოდა მას ბავშვებთან და თრითინასთან! მაგრამ, უცებ დააწყო მიწაზე ყვავილები, გამოვარდა წინ, გაშალა თავისი წითელი წამოსასხამი და ზედ გადააფარა თრითინას. თრითინა აფართხალდა, აწრიპინდა, მაგრამ მალე დაწყნარდა; ქალიშვილმა გამოახვია ის წამოსასხამში, ოღონდ ცხვირ-პირის გამოსაყოფი ადგილი დაუტოვა. საცოდავად გამოიყურებოდა წამოსასხამიდან თრითინა.

სირბილით მიუახლოვდნენ აქოშინებული ყმაწვილები ქალიშვილს.

— გამარჯობათ,—წამოიწყო დიტომ მოწიწებით.—ეგ ჩვენი თრითინაა. ჩვენ მაგას რახანია დავდევთ!..

— თქვენია?—გაიკვირვა ქალიშვილმა.—იქნებ საზიაროა?! თქვენ დასდევდით, მე კი—დავიჭირე!

— უყურე ერთი!—მოიღუშა გელა.—ჩვენ ოფლად გავიღვარეთ, თქვენ კი მზამზარეულს დაეპატრონეთ.

— თუ აგრეა, არ გედავებით, წაიყვანეთ! სიამოვნებით!- ქალიშვილმა წამოსასხამიდან ქუდში გადაუსვა თრითინა დიტოს.—ოღონდ მეცოდება, ვიცი, რომ მოჰკლავთ, ტყავს საქუდეთ გამოიყენებთ... ასეთი კარგი ცხოველი კი გამოდგებოდა რამეში...

— რასა ბრძანებთ! ჩვენ მოკვლა წესად არა გვაქვს, რასაც დავიჭერთ, სკოლაში მიგვყავს... ცოცხალი კუთხისათვის.

— სკოლაში? — წარმოსთქვა ქალიშვილმა და სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს ძველისძველ მეგობრებს შეხვედროდეს. — მაშინ, ბავშვებო, ნუ მეტყვით და ამ წუთში გამოვიცნობ, რომელი სკოლიდანაც ხართ.

— ძალიან კი გამოიცნობთ! შუბლზე კი არ გვაწერია!

— აი, ნახავთ, თუ არ გამოვიცნობ...

ქალიშვილმა თვალი მოხუჭა და შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, მერე ბავშვები შეათვალიერა.

— უკვე გამოვიცანი, თქვენ ახალსოფლის სკოლიდან ხართ!

გაოცებულმა ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს.

— იქნებ ჩვენს მასწავლებლებსაც იცნობთ? — შეეკითხა გაკვირვებული დიტო.

— ვიცნობ. მეოთხე კლასს პატივცემული ეკატერინე ასწავლის...

— ჩვენ, მესამეკლასელებს ვინღა გვასწავლის? — წამოსცდა დიტოს.

— თქვენ პატივცემული მარიამი გასწავლიდათ. აწი კი ახალი მასწავლებელი გეყოლებათ...

— ვაიმე, ბიჭებო, — ჩურჩულით თქვა დალიმ, — ყველაფერი გამოიცნო! — და გოგონა ეშმაკურად მიაჩერდა უცნობ ქალიშვილს. — ახალი მასწავლებელი როგორიღაა შესახედავად? ესეც იცით?

— ვიცი. ის მე ძალიან მგავს. — უპასუხა ქალიშვილმა.

— თუ აგრეა, მეც გამოვიცანი! — შესძახა დალიმ. — სწორედ თქვენა ხართ ჩვენი ახალი მასწავლებელი!

ქალიშვილმა გაიცინა.

— აი, გავიცანით კიდეც ერთმანეთი! ახა, გამარჯობათ! მე მქვია ქეთევანი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ბავშვები გონს რომ მოვიდნენ, მასწავლებელს

სკოლისაკენ გაუძღვნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ, — უყვებოდნენ მესამეკლასელი მოსწავლეების შესახებ; უამბობდნენ, ვინ რა საჩუქარი მოამზადა პირველი სექტემბრისათვის და რარიგ მდიდარი ცოცხალი კუთხე და საცდელი ნაკვეთი აქვთ ახალსოფლის სკოლაში.

— იმას როგორღა მიხვდით, რომ ახალსოფლელები ვართ? — ვერ მოითმინა დიტომ.

— მაგის მიხვედრა ძნელი არ არის, — მეც ხომ ერთ დროს ახალსოფლის სკოლაში ვსწავლობდი. ჩვენც თქვენსავით ძლიერ გვიყვარდა ჩვენი სკოლა.

მალე გამოჩნდა ახალსოფლის რვაწლიანი სკოლა. სერზე გადმომდგარიყო სკოლის ლამაზი შენობა; თუნუქით იყო დახურული, ფართო ფანჯრები მზეზე ელავდნენ. სკოლიდან ოთხივე კუთხით მიიკლაკნებოდა ბავშვების ფეხით გაკვალული თეთრი ბილიკები ახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობებისაკენ.

— გმადლობთ გამოცილებისათვის, ბავშვებო, — თქვა მასწავლებელმა, — მართლაც და პირდაპირ სკოლაში მივალ, ბაღს დავათვალიერებ, საცდელ ნაკვეთსაც...— მან ხელი დაუქნია ბავშვებს და მსუბუქი ნაბიჯით გაუდგა თეთრ ბილიკს.

დალიმ საჩქაროდ გამოსტაცა დიტოს თრითინა და მასწავლებელს წამოეწია.

— პატივცემულო ქეთევან, წაიყვანეთ!

— კი მაგრამ, ეს ხომ თქვენი თრითინაა! პირველ სექტემბერს სკოლაში რომ მოხვალთ, მაშინ გადმომცემთ.

— არა, არა! თრითინა თქვენი დაჭერილია. — დალიმ ქუდიდან წამოსასხამში გადაუსვა თრითინა მასწავლებელს.

— მაშინ ეს ჩვენი საერთო საჩუქარი იყოს, ოთხივესაგან, — გაიღიმა ქეთევანმა.

— დაე, საერთო იყოს! — სიხარულით დაეთანხმა გოგონა.

გადმოაქართულა **მურმან ლებანიძემ**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი ი. სუხიშვილისა

პირველი დღე სკოლაში

ჩანთას ხელი წამოავლო

მზე გაბრწყინდა და ოთახში
შუქი უხვად დაიღვარა,
გივიმ თვალი გაახილა,
იამა და გაიხარა.

ტანთ ჩაიცვა. მამასავით
ჩაახველა, ახმაურდა,
აგერ, ახლა ხელ-პირს იბანს,
დახმარებაც აღარ უნდა.

ისე დიდი ბიჭი გახდა,
დღეს სკოლაში წავა მარტო,
ძველებურად ვერ მოიცლის
ეზო-კარში სანავარდოდ.

როცა დედამ მოფუსფუსე
ჩაიკრა და გადაკოცნა,
გივიმ უთხრა:—ნუ მაყოვნებ,
ვგვიანდები, არ მაქვს მოცლა!—

ჩანთას ხელი წამოავლო,
ქუდი კოხტად დაიხურა.
როგორც მამამ იცის ხოლმე,—
კარი მაგრად გაიხურა.

ალეკო შენგელია

ფორმა ჩააცვეს ნანულის

ფორმა ჩააცვეს ნანულის
გოგონას ცისფერთვალებას,
მკვირცხლად გარბის და გამორბის,
„დედა მას ენაცვალება“.

სკოლაში წასვლას აპირებს,
ალბათ სუყველა მიხვდება,
სარკის წინ დადგა, იცინის,
თან ჩუმად ამბობს:—მიხდება!

ჩამოურბინა მეზობლებს,
მათ კარგად სწავლას ჰპირდება,
წინ გაუჩერდა დეიდას,
თან ეკითხება: მიხდება?!

ეზოში ყველა ნაცნობებს
პირმოცინარი წინ ხვდება;
მიესალმება, თან ამბობს:
— აბა, შემხედეთ, მიხდება?!—

ფორმა უხდება ნანულის
გოგონას ცისფერთვალებას,
მკვირცხლად გარბის და გამორბის,
„დედა მას ენაცვალება“.

ჯ. გოჯიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები გ. ჩარინაშვილისა

ნანა და საათი

— ერთი და, ორი და, სამი და, ოთხი და...—სიმღერით ითვლიდა ნანა, ჰატარა თითებს უხალისოდ ათამაშებდა კლავიშებზე და თან ცალი თვალი ბედლის საათისაკენ ეჭირა.

— რა ზარმაცია ჩვენი საათი! მე მეცადინეობით მოვიღალე, ის კი მხოლოდ ნახევარი საათით წავიდა წინ.— ჯავრობდა გულში ნანა.

— ვიცი, ვიცი გაკვეთილი!. მასწავლებელთან წასვლი. წინ ერთხელ კიდევ გავიმეორებ და კარგად მეცოდინება...—დაარწმუნა თავისი თავი გოგონამ, როიალს საფარი გადაახურა და ეზოში ჩაირბინა სათამაშოდ.

მუსიკის გაკვეთილიდან ცუდ გუნებაზე დაბრუნდა ნანა. მასწავლებლის საყვედურს დედის გულისწყრომაც დაემატა. ნანას ყურებში ედგა მასწავლებლის ნათქვამი: „ჩემი კლასის კონცერტზე შენს მეტი ყველა ძიიღებს მონაწილეობასო“.

თავის თავზე უკმაყოფილო გოგონა დედას თვალს ვერ უსწორებდა.

* * *

საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო სავსე.

ზარი მესამედ აწკრიალდა. დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა.

რიგრიგობით გამოდიოდნენ ნანას ტოლ-მეგობრები და ზეპირად ასრულებდნენ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

კონცერტში მონაწილე ბავშვებმა სა-

ჩუქრად ევავილების თაიგულები მიიღეს. დარბაზში ტაში გუგუნებდა.

— დედა, ჩქარა წავიდეთ!—წასჩურჩულა ნანამ დედას.

— რა გაჩქარებს? ახლოს ვნახოთ ლია, თეო, წარმატება მივულოცოთ.— უთხრა დედამ.

— მე მრცხვენია...—ვეღარ დაამთავრა სათქმელი გულამოძჯდარმა ნანამ.

— მაგაზე ადრევე უნდა გეფიქრა!— გულნაკლულად შენიშნა დედამ, გულში კი ესიამოვნა შვილის სინანული.

* * *

— ერთი და, ორი და, სამი და...— გულმოდგინედ ითვლიდა ნანა და უკრავდა ჰატარა ჰიესას.

— კმარა, ნანა, შეისვენე, ორსაათნახევარია შეუსვენებლივ მეცადინეობ!— სთხოვა დედამ შვილს.

— ორსაათ-ნახევარი?—გოგონამ საათს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— საკვირველია, აქამდე საათიც ზარმაცობდა ახლა კი მოუჩქარა სიარულს. ნამდვილად ბეჯითობაში ემეჯიბრება! ის კი არ იცის, სახელოსნოში რომ უკრავენ თავს შესაკეთებლად.

ბავშვის ნათქვამზე მშობელს გაეღიმა, შვილს თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა და უთხრა:

— საათი ისევ ისე მუშაობს, როგორც მუშაობდა. შენ კი ეს იცოდე, ჩემო ჰატარავ: ზარმაცი ადამიანისათვის დრო ზანტად მიდის, ბეჯითისათვის კი —ჰირიქით.

— დინნნ, დინნნ!—დაჰკრა საათმა და დაადასტურა დედის ნათქვამი.

ფაიმარაზ ჯანგელაძეული

ვართ სამგორის

მწირ მთებიდან მოვაშურეთ
მიწას ტკბილს და ბარაქიანს,
გვითხრეს: სოფლად ესახლდებითო,
ჩვენს თვალწინ კი ქალაქია.
რა ლამაზი სახლებია,
ყველა ახალთახლებია.
ეს რა ფართო ქუჩებია,
მოედნები, ეზოები,

ძმის მხარდამხარ ძმა დასახლდა,
მეზობელთან—მეზობელი.
აბრდღვიალდნენ ნათურები
ჩვენს ჩამოსვლას ნატრულები.
მოიმღერის იერის წყალი,
წყალს ხეხილის მოსდევს ჯარი.
ჩავამწკრივეთ ეზოებში
მსხლები,



ნახატი ალ. ბანძელაძისა

გინადრები

ბლები,
ალუბლები,
მსხმოიარე ბალ-ვენახებს
მალე გავესაუბრებით.
მოიმღერის იერის წყალი,
მოდის, ზღვისკენ მოიჩქარის.
მოკაკვამე წყალმა უკვე
ზღვად აქცია საგუბარი,
მთელ ქვეყანას ესმის ახლა

მისი ტალღის საუბარი.
თვალს ატკბობს და გულს ახარებს
ახალი ზღვის სილამაზე,
აქ ვისვენებთ და ნავებით
დავსეირნობთ გაშლილ ზღვაზე.
ზღვაზე ვართ და გვიხარია,
სხვას მეტს რალას ვინატრებდით?—
ვართ სამგორის პირველ სოფლის
სულ პირველი ბინადრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ნახატები გ. როინიშვილისა

სკოლის ზარი

მარჯვე ბიჭია რეზიკო. შეუყრის თავს ხუთიოდე ტოლს, გადააჯდებიან ტოტებს — ვითომ ცხენებია, მხრებზე სახრეს გაიდებენ — ვითომ თოფებია; მიუხტებიან ფერმის დარაჯს, შეუტევენ, „აიღებენ" ფერმას. დარაჯი დანებების ნიშნად ყალიონს ასწევს ცაში. რეზომ რამდენჯერმე სკოლაზედაც მიიტანა იერიში, მაგრამ იქ პაპა ყაფლანი, — სკოლის დარაჯი მარჯვედ დაუხვდა. გამოეკიდა ყმაწვილებს ცოცხით. დიდი მუხის ქვეშ მიერეკა მეომრები და უთხრა:

— სკოლის ასაღებად თოფებით კი არა, წიგნებით შეიარაღებული მოდით! სკოლაში ყველაზე უკეთესი მეომარი ის ყმაწვილია, რომელიც წიგნს რაკრაკით კითხულობს, ვისაც მასწავლებელი ხუთიანებს უწერს. აი, დადგება სექტემბერი, მასწავლებელი მიგიღებთ და მეც ფართოდ გაგიღებთ კარებს. მაშინ ვნახავ, რა ბიჭებიც ხართ!

— სექტემბერი ჩქარა დადგება? — ჰკითხა ყაფლანს რეზიკომ.

— როცა ქლიავი მოიღევა, კაკლები დასაბერტყი იქნება, ყურძენი დამწიფდება და თქვენც, ყმაწვილებო, მერვე წელიწადში გადადგებით.

— კარგი, ძალიან კარგი. მაშინ ჩვენ ახალ თოფებს გამოვთლით და ახალ ცხენებს შემოვაჭენებთ.

— აგრე ეზოში არ შემოგიშვებთ! — ეუბნება ყაფლანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, როგორ?

— ისე, როგორც თქვენს უფროს დებსა და ძმებს ვუშვებ, წიგნებით შეიარაღებულებს.

— განა წიგნი იარაღია?!

— წიგნზე ბასრი იარაღი არ არის ქვეყანაზე.

— მაშ ყველას მიგვიღებთ?

— ყველას, ვისაც შვიდი წელი შეგისრულდებათ

ჩქარა მიიწურა ზაფხული. რეზიკოს და მის ამხანაგ გოგო-ბიჭებს დედებმა ახალი ხალათ-შარვლები და კაბები შეუკერეს. ჩანთები და სასწავლო ნივთები უყიდეს, სკოლაში შესაყვანად მოამზადეს.

ერთხელ რეზიკო სკოლისაკენ წავიდა. ჭიშკარი გააღო, კაცის სიმაღლემდე გაზრდილ პატარა მუხებს შორის ფრთხილად გაიარა, სკოლის აივანზე ავიდა და რა ნახა?! სკოლა შეეკეთებინათ, შეღებათ. ძია ყაფლანი აივანზე ჩამოკიდებულ დიდ ზარს წმენდდა.

— უჰ, რამოდენა ზარია! აბა, დარეკეუთხრა რეზიკომ.

— ხვალ პირველი სექტემბერია, ხომ შემოდიხარ სკოლაში?!

— შემოვდივარ!—მიუგო რეზიკომ.

— ჰოდა, ხვალ დავრეკავ, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს სწავლის დაწყება.

რეზიკომ შინისაკენ გასწია. იმ ღამეს არ დაეძინა; მეორე დღეს პირველი სექტემბერი იყო, რეზიკოს ეშინოდა არ გამოპაროდა ზარის ხმა.

გათენდა. რეზიკო წამოდგა. გარეთ, რუში პირი დაიბანა, საუზმე, დედას რომ არ გაეხსენებინა, აღარც ახსოვდა. წინა ღამით ჩალაგებული ჩანთა დაიჭირა ხელში და სკოლისაკენ გასწია.

გზაში ტოლ-მეგობრებს ჩამოუარა: ჩქარა, სკოლის ზარს დავასწროთო, გასძახოდა მათ და სკოლისაკენ ამაყად მიაბიჯებდა.

სულ მალე სკოლის აივანზე თავი მოიყარეს რეზიკოს ამხანაგებმაც;

ისინიც სავსე ჩანთებით მოსულიყვნენ. პაპა ყაფლანმა პირველკლასელებს საკლასო ოთახის კარი გაუღო და სკოლის ზარს ჩამოჰკრა.

— ძინ, ძინ, ძინ!—გაისმა ზარის გუგუნი და ბავშვების ჟრიამული დაფარა.

შემოვიდა მასწავლებელი; რეზიკოს კლასს დაეწყო პირველი გაკვეთილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

ხუთი წლის ლალი

ხუთი წლის წინ დაიბადა
აი, ეს გოგონა!
გაუღიმა დედიკომ და
მკერდში ჩაიკონა;
და მას შემდეგ იფურჩქნება,
როგორც ვარდის კონა.
ხშირად ბაღში შემოირბენს
ცქრიალა და ლაღი;
ბაღიც ლხენით ეგებება,
მხიარულობს ბაღი;
ხის ფოთლები ჩურჩულებენ:
„მოვიდაო ლალი“;
ჩიტუნებიც უფრო სტვენენ,
უფრო გრძნობენ ხალისს.
გაიზარდე სასახელო,
ცელქო გოგო, ლალი!
ხალხს მიუძღვენ შენი ცოდნა,
შენი ღონე, ძალი,
რომ ბელადმა შენზედაც თქვას:
„აი, კარგი ქალი“!

ნახატი **რ. ცუცქირიძისა**

ნინო ბეზარაშვილი

ნახატი რ. სტურუახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზის მანქანა

ერთხელ თენგიზმა ერთი მოზრდილი ეუთი ძლივს მიათრია მამასთან და უთხრა:

— მამა, თუ გიყვარვარ, ამას თვლები გაუკეთე, სახელურები დააკარი და კარგი მანქანა მექნება.

მამამ თენგიზს ეურადღება არ მიაქცია, რადგან სახლს აშენებდა და სხვა მომუშავეებთან ერთად ხელოსნებს სწრაფად აწვდიდა აგურებს. თენგიზმა კიდევ დაუწყო ხვეწნა. მამამ უარი ვეღარ უთხრა, შესვენების დროს სადღაც გამოძებნა ძველი თვლები, ისინი ერთმანეთთან ღერძით შეაერთა. ღერძზე ეუთი დააკრა, ეუთზე სახელურები დაამაგრა და უთხრა:

— ასეთი მანქანა გინდა?

— სწორედ ასეთი, რა კარგია! შენ რომ ორთვალათი აგურს ეზიდები ხელოსნებთან, სწორედ ისეთი იქნებოდა, ჰატარა რომ არ იყოს!—ამბობდა გახარებული თენგიზი და ეოველ ნაწილს უსინჯავდა ორთვალას.

— შენ რაღად გინდა ეს ორთვალა?—შეკითხა მამა.

— მეც აგურებს ჩავაწყობ და შენსავით ხელოსნებთან მივიტან. დაგეხმარები სახლის აშენებაში!

თენგიზი მართლაც ისე მოიქცა, როკორც შეჰპირდა მამას. ორ ან სამ აგურს ჩასდებდა ორთვალაში და მიჰქონდა ხელოსნებთან. თან მხიარულად გაიძახოდა: „გზა მომეცით, ჩემი მანქანა მოდისო“!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ჩაჩავა

ნახატი ზ. ლეფავანი

მოქანაობს სპილო

მოქანაობს ნელა
სპილო ვეებერთელა.
ხორთუმს ისე ხმარობს
ხელი ჰქონდეს თითქოს,
უნდა გაგვახაროს, —
თავს გვიკრავს და გვიხმობს.
ჭამს სტაფილოს, ჭარხალს,
თივასაც ჭამს სპილო;
ყუთში მოუწყვიათ,
მისთვის სასადილო.
სპილომ ერთხელ გიზოს
ვაშლი გამოართვა,
თავი დააქნია,
თითქოს მადლობა თქვა.
ყველას გაგვეცინა,
ყველას გაგვეხარდა,
ყველას მოგვეწონა
თინათინის გარდა.
თინიკომ და ზურამ
გააჯავრეს სპილო, —
ქვები დაუშინეს,
„ხარო სასაცილო“.
მან ხორთუმით სწრაფად
წყალი ამოხაპა.
თინასა და ზურას
სულ მთლად შეასხურა.

წვიმავ, მოდი, მოდი!

წვიმავ, მოდი, მოდი,
მიწა დაასველე;
წვიმა უნდა ბოსტანს,
ყანას, ტყეს და ველებს.
წყალი უნდა ფოთოლს
მოზრდილსა და თოთოს,
წვიმა უნდა ფესვებს,
წვიმა უნდა ღეროს, —
უწყლოდ რომ არ გახმეს,
ყელი მოიღეროს.
როცა მოხვალ, წვიმავ,
დაასველებ ველებს,
ჩვენ არ დაგვივიწყო,
გთხოვ, ჩვენც დაგვასველე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხახატები ი. გაბაშვილისა

5413

მაიმუნი და კუ

ჩინური ზღაპარი

ერთხელ კუმ გაისეირნა და შეხვდა მაიმუნს. ორივეს მოეწონა ერთმანეთი. კუმ მაიმუნს ასე მიმართა:

— პატივცემულო მაკაკა, მე დიდი ხანია ვოცნებობდი თქვენთან დამეგობრებაზე და ბედნიერი ვარ რომ შეგხვდით!

მაიმუნმა უპასუხა:

— დიდი გზა გამოვიარე, რომ თქვენ მენახეთ, დავმტკბარიყავი თქვენი ბრძნული საუბრით, მეხილა თქვენი სიტურფე და სილამაზე!

— საყვარელო მაკაკა, — სთხოვა კუმ,— პატივი დამდეთ და დღეს ჩემთან ისადილეთ.

კუ შესანიშნავად გაუმასპინძლდა მაიმუნს და სადილის შემდეგ გააცილა კიდეც. მაიმუნი მახლობელ ტყეში ცხოვრობდა.

— უკვე მოვედით, — უთხრა მაკაკამ და ერთ მსხვილ, მაღალ პალმასთან შეჩერდა. — ჩემი სახლი ამ პალმის წვერზეა. გთხოვთ, პატივცემულო კუ, გააბედნიეროთ ჩემი საწყალი ქოხი თქვენი სტუმრობით.

— მშვენიერო მაკაკა,—შენიშნა კუმ,— განა თქვენ არ იცით, რომ ხეზე ასვლა არ შემიძლია? — მე მხოლოდ წყალში შემიძლია ცურვა.

— არაფერია! — წამოიძახა მაიმუნმა,— კბილებით მოეჭიდეთ ჩემს კუდს და ნურაფრისა შეგეშინდებათ.

კუ ასეც მოიქცა.

მაიმუნმა მკვირცხლად დაიწყო ხეზე ასვლა, კუს შიშით სუნთქვა ეკვროდა, რადგან თავის სიცოცხლეში ამ სიმაღლეზე არ ყოფილა. მაიმუნი კი სულ ზევით, ზევით მიცოცავდა და თავისი კუდით მიათრევდა კუს.

როგორც იყო მიაღწიეს სახლს. მაიმუნის ცოლმა მაშინვე გამოყო ფანჯრიდან თავი და წამოიძახა:

— როგორ მიხარია, რომ ჩვენთან ვხედავ სასურველ სტუმარს!

უნდა ითქვას, რომ კუ მეტად ზრდილობიანი იყო და თავაზიან შეხვედრას თავაზიანადვე უპასუხებდა. არავინ იცის, თუ რა უნდა ეთქვა კუს მაიმუნის ცოლისათვის, რადგან, ოდნავ პირი გააღო

თუ არა, მაშინვე კუდი პირიდან გაეწ-
კუ მიწაზე დაენარცხა და კინალამ კისერ
მოიტეხა.

მაიმუნი სწრაფად დაეშვა ძირს
ამშვიდებდა გაუფრთხილებელ სტუმა
როდესაც კუმ კვნესა შეწყვიტა, მაიმუნ
მა უთხრა:

— გეთაყვა, ჩემს კუდს მოეჭიდეთ და
გეხვეწებით, ჩემი ცოლი რომ მოგესალ-
მებათ, ხმა არ ამოიღოთ.

— ვეცდები, ჩუმად ვიყო,— წამოიკვნე-
სა კუმ და კუდზე მოეჭიდა. მაიმუნი
აცოცდა პალმაზე. ასვლისთანავე კვლავ
მიეგებათ მაიმუნის ცოლი:

— იმედი, მაქვს არ დაშავებულხართ,—
მზრუნველობით შეეკითხა მაიმუნის ცო-
ლი.— მე ისე შევწუხდი...ისე შევწუხდი.

„რა გულისხმიერი დიასახლისია",—
გაიფიქრა კუმ, დაავიწყდა დაპირება ...
დაიწყო:- გმად...

უნდოდა ეთქვა: გმადლობთ თანა-
გრძნობისათვისო, მაგრამ ვერ მოასწრო
პირი გააღო თუ არა, კვლავ მიწას და
ნარცხა კუ.

დიდხანს აღარ თანხმდებოდა კუ მაი-
მუნს სახლში მესამედ ასვლაზე. ბოლოს
მაინც დათანხმდა. ააღწიეს თუ არა
კენწეროს, მაიმუნის ცოლი კვლავ შეე-
გება და თანაგრძნობით ჰკითხა:

— ნუ თუ თქვენ კიდევ ჩავარდით?

— დიახ,— უპასუხა კუმ და თვალის
დახამხამებაზე დაეშვა ძირს.

მეორე დილით მაიმუნი წავიდა კუს
სანახავად.

კუ ძალიან კარგად შეხვდა ახალ მე-
გობარს.

— კარგია, რომ მოხვედით, სწორედ
ახლა ვაპირებ გასეირნებას ზღვაზე და
თქვენც გპატიჟობთ.— უთხრა კუმ.

— მე რომ ცურვა არ ვიცი?!— მიუგო
მაიმუნმა,— მე შემიძლია ხეზე ასვლა,
მაგრამ ზღვაში ერთ წამსაც ვერ გავ-
ძლებ.

— არაფერია, — უპასუხა კუმ, — შემაჯექით ზურგზე და ნურაფრის შეგეშინდებათ.

მაიმუნი დიდხანს არ დაფიქრებულა. შეაჯდა კუს ზურგზე და შესცურეს ზღვაში. პირველად მაიმუნს ახალისებდა უჩვეულო მოგზაურობა, მაგრამ მალე მოსწყინდა.

უცებ მაიმუნმა დაიწყო ჩუმად სიცილი, მას მოაგონდა კუს გუშინდელი ჩამოვარდნა.

— ნუ ინძრევით, — გააფრთხილა კუმ, — ზურგი სიპი მაქვს და დაცურდებით.

მაგრამ მაიმუნი თავს ვერ იკავებდა და უფრო უმატა სიცილს, როდესაც კუს მეორედ და მესამედ მიწაზე დანარცხება გაიხსენა, მაშინ უფრო მოუმატა სიცილს და რასაკვირველია ძლიერ ირხეოდა.

— წყნარად იჯექით! — დაუყვირა უკმაყოფილო კუმ.

— მე მომაგონდა... მე მომაგონდა... გუშინ თქვენ რომ... ხა... ხა... ხა...

მაიმუნი ისე იცინოდა, რომ ყველაფერი დაავიწყდა ამ ქვეყანაზე. კუს ზურგიდან ჩაცურდა, ჩავარდა ზღვაში და დაიხრჩო.

მას შემდეგ ჩვენი პატივცემული ბებერი კუ აღარ ეცნობა ცანცარა მაიმუნებს.

თარგმნა **თ. მთვარელიშვილმა**

თინათინ კვირიკაძე

მოდი, შევრიგდეთ!

მოდი, ლია, შევრიგდეთ,
ნუ ვიჩხუბებთ დღეიდან;
სირცხვილია, გაბუტვა
ეწყინება დეიდას!

ჩვენი ეზო დიდია,
ვითამაშოთ, ვიცინოთ.
აგერ, სხვებიც მოვიდნენ:
ნოდარი და ციცინო.

სამუშაო გავიყოთ
ძმურად, ნაწილ-ნაწილად.
მე და თინა ნიადაგს
ქვებისაგან გავწმინდავთ.

შენ კი მიწა დაბარე,
საყვარელო ლიანა,
და ეს ეზო-მიდამო,
გავამწვანოთ მთლიანად.

ГОСПУБЛИЧ Б-КА

ფასი 2 მან.

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ამოცანა

დავით ძეძამიძე

თხა და კიკოლა

იუო და არა იუო-რა,
იუო ჰატარა კიკოლა;
ერთი თხა ჰყავდა კიკინა,
მის დევნამ გადაიუოლა.

კიკინამ ტუუბი მოიგო,—
კიკოლას ნატვრა აუხდა;
მითხარ: კიკოლას რამდენი
თხა და თიკანი გაუხდა?!

გუგული და ღაჟო

ღაჟომ ბუდე გაიკეთა,
ხუთი კვერცხი დადო...
ყველამ იცის, რომ გუგული
სულ არ არის სანდო:
მიეპარა, ორი კვერცხი
გადასანსლა ხილად,
და თავისი ერთი კვერცხი
შიგ ჩაუდო ფრთხილად.
ბარტყები რომ დაიჩეკნენ,
ერთი სხვებს არ ჰგავდა.
გამოიცან: ღაჟოს ბარტყი
სულ რამდენი ჰყავდა?!

უდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. გიგოლაშვილს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 9 Сентябрь 1952 г. Тбилиси, Ленина 14.
საბჭოთა რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-57-58
გამომც. შეკვ. № 320 სტამბის შეკვ. № 857 ტირაჟი 15.000 უე 02496